ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05.. 03. 2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №84-ს

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფორმის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში 2020 -2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მუშაობის ფარგლებში გათვალისწინებული მეცადინეობები 15 მარტიდან წარიმართოს შემდეგი ფორმით:

ა) პირველი და მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის ჰიბრიდული - სააუდიტორიო და დისტანციური ფორმით;

ბ) მესამე და ზედა სემესტრის სტუდენტებისთვის - გაგრძელდეს დისტანციურად.

2. სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, უნივერსიტეტის ბუღალტერიას; საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე